საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ფინანსური შეთანხმების დოკუმენტის „დასაქმება და პროფესიული განათლება" ფარგლებში ჩამოყალიბებული სექტორული საკოორდინაციო საბჭოს

სხდომის ოქმი # 4
31.12.2014

შეხვედრის დასახელება	**„დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ სხდომა**
შეხვედრის თარიღი:	**31 დეკემბერი, 2014წ.**
შეხვედრის ადგილი:	**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**
შეხვედრის მონაწილეები:	
სახელი, გვარი	**თანამდებობა**
საბჭოს წევრები	
ქეთევან ნატრიაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე; „დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ თავმჯდომარე
დავით ლომიძე	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე „დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ თანათავმჯდომარე
თენგიზ შერგელაშვილი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე
ელგუჯა მელაძე	“პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს“ წარმომადგენელი; საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი
გიორგი მაჩაბელი	სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი
ელენე ჯიბლაძე	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი
იანოშ ჰერმანი	ელჩი, ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი
მიხეილ ჭელიძე	ა(ა)იპ საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
საბჭოს წევრების წარმომადგენლები	
გოჩა კერესელიძე	რთველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი
პაპუნა შენგელია	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენელი
გოჩა ალექსანდრია	ა(ა)იპ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე

საბჭოს სხვა მონაწილეები	
თამარ ქიტიაშვილი	პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი
ნიკოლოზ მესხიშვილი	პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ნინო ყოჩიშვილი	ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში
ნოდარ სურგულაძე	ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA) წარმომადგენელი
ნათია კვიციანი	მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი
ირაკლი შურღულაია	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროფესიული კვალიფიკაციის ექსპერტი
ელზა ჯგერენაია	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი
საბჭოს სხდომის მდივანი	
ქრისტინა გოროდნიჩევა	შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის დასაქმების ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი
ანა მჭედლიშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

სხდომის დღის წესრიგი	
საკითხი #1	**მომხსენებელი**
პროგრამის „დასაქმება და პროფესიული განათლება" განხორციელების შესახებ ანგარიში	**თამარ ქიტიაშვილი** პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი;
საკითხი #2	
პროგრამის „დასაქმება და პროფესიული განათლება" განხორციელების შესახებ ანგარიში	**დავით ლომიძე** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, დასაქმების, პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს თანათავმჯდომარე;

„დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ (შემდგომში საკოორდინაციო საბჭო) თავმჯდომარე ქალბატონი ქეთევან ნატრიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. პროგრამის „დასაქმება და პროფესიული განათლება" განხორციელების შესახებ ანგარიში - თამარ ქიტიაშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი;
2. პროგრამის „დასაქმება და პროფესიული განათლება" განხორციელების შესახებ ანგარიში - დავით ლომიძე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, დასაქმების, პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს თანათავმჯდომარე.

ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა მომხსენებლებს სთხოვა მოხსენების გაკეთება „დასაქმება და პროფესიული განათლების“ პოლიტიკის მატრიცის მეორე ტრანშით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების შესახებ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, ქ-ნმა თამარ ქიტიაშვილმა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ, ბ-ნმა დავით ლომიძემ დეტალურად ისაუბრეს ყველა იმ ღონისძიების შესახებ, რომლებიც განხორციელდა ფინანსური შეთანხმების პროგრამის ფარგლებში.

ქ-ნი თამარ ქიტიაშვილის განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ შეხვედრა წლის ბოლოს დაემთხვა, სხდომაზე მოხდება იმ აქტივობების შეჯამება, რომლებიც განხორციელდა სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სააგენტოების მიერ. აქვე დასძინა, რომ პოლიტიკის მატრიცით გათვალისიწინებული ყველა პუნქტი წარმატებით განხორციელდა და შესაბამისი მტკიცებულებები ანგარიშთან ერთად წარედგინება

ევროკავშირის მონიტორინგის ჯგუფს. მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდა მატრიცით გათვალისწინებული სათითაოდ ყველა პუნქტის შესრულებასთან დაკავშირებული, უკვე განხორციელებული აქტივობების შესახებ.

ვინაიდან შეხვედრის მონაწილეებს არ ჰქონდათ შეკითხვები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ, ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა სიტყვა გადასცა მეორე მომხსენებელს - ბ-ნ დავით ლომიძეს, რომელმაც საბჭოს წევრებს გაუზიარა ინფორმაცია ყველა იმ აქტივობის შესახებ, რაც მიმდინარე წელს განახორციელა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, რომლის შესახებ შესაბამისი ანგარიში წარედგინება მონიტორინგის ჯგუფს.

ქ-ნმა ნინო ყოჩიშვილმა აღნიშნა, რომ ბენეფიციარ სამინისტროებს უნდა ჰქონდეთ შემუშავებული განფასებული სამოქმედო გეგმა. აღნიშულთან დაკავშირებით, სამინისტროს წარმომადგენლებმა მიუგეს, რომ უკვე არსებობს განფასებული სამოქმედო გეგმა, რომელსაც სხვა დოკუმენტებთან ერთად წარუდგენენ ევროკავშირის ექსპერტებს.

ბ-ნმა გოჩა ალექსანდრიამ გამოთქვა სურვილი, რომ მომავალში დოკუმენტების შემუშავების პროცესში მეტად იყოს ჩართული შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ვინაიდან ეს ორგანიზაცია ყველაზე კომპეტენტურია შრომის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებში.

ქ-ნმა ნინო ყოჩიშვილმა კითხვით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს საქართველოში ექსპერტების ჩამოსვლის თარიღთან დაკავშირებით, რომლებიც სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების, მიწოდებული ანგარიშებისა და დოკუმენტების საფუძველზე მოახდენენ რეკომენდაციების გაცემას მე-2 ტრანშის ოდენობასთან დაკავშირებით.

მისივე თქმით, ექპერტების სავარაუდო ჩამოსვლის თარიღად 2015 წლის 26 იანვარი მოიაზრება, თუმცა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია თარიღის გადაწევა. მხარეების შეთანხმების საფუძველზე ექსპერტების ჩამოსვლის თარიღად დასახელდა 15 თებერვალი.

პროგრამის ბენეფიციარ სამინისტროებს ანგარიშის წარდგენა შეუძლიათ როგორც ერთობლივად, ასევე ინდივიდუალურად. ამ საკითხთან დაკავშირებით მოხდება შეთანხმება სამინისტროს წარმომადგენლებს შორის.

სხდომა შეაჯამა და დახურულად გამოაცხადა სხდომის თავმჯდომარემ, ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა.

„დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ სხდომის თავმჯდომარე

ქეთევან ნატრიაშვილი

„დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ სხდომის თანათავმჯდომარე

დავით ლომიძე

„დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ სამდივნო:

ანა მჭედლიშვილი

ქრისტინა გოროდნიჩევა